

შპს „მოა“

ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შპს „მოა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნები	31.12 2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	1418431	1496500
არამატერიალური აქტივები	2	6016	5630
სულ გრძელვადიანი აქტივები		1424447	1502130
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3	22676	14109
სავაჭრო მოთხოვნები	4	334660	237753
გადახდილი ავანსები		-	3680
მიმდინარე მარაგები	5	1896296	2217541
სხვა სასაქონლო მარაგი		18526	15151
სხვა მიმდინარე აქტივები		-	44885
სულ მიმდინარე აქტივები		2272158	2533119
სულ აქტივები		3696605	4035249
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	6	572291	677173
მოკლევადიანი სესხები	7	0	304310
სხვა ვალდებულებები		32272	12495
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		621587	993978
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	1369568	1594650
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1369568	1594650
სულ ვალდებულებები		1974131	2588628
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	9	1722474	1446621
სულ კაპიტალი		1722474	1446621
სულ კაპიტალი და ვალდებულება		3696605	4035249

შპს „მოა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნები	31.12 2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	1418431	1496500
არამატერიალური აქტივები	2	6016	5630
სულ გრძელვადიანი აქტივები		1424447	1502130
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3	22676	14109
სავაჭრო მოთხოვნები	4	334660	237753
გადახდილი ავანსები		-	3680
მიმდინარე მარაგები	5	1896296	2217541
სხვა სასაქონლო მარაგი		18526	15151
სხვა მიმდინარე აქტივები		-	44885
სულ მიმდინარე აქტივები		2272158	2533119
სულ აქტივები		3696605	4035249
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	6	572291	677173
მოკლევადიანი სესხები	7	0	304310
სხვა ვალდებულებები		32272	12495
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		621587	993978
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	1369568	1594650
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1369568	1594650
სულ ვალდებულებები		1974131	2588628
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	9	1722474	1446621
სულ კაპიტალი		1722474	1446621
სულ კაპიტალი და ვალდებულება		3696605	4035249

დირექტორი:



ლუარა შენგელია

მთავარი ბუღალტერი:

თათა ფილიპიდის

შპს „მოა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31.12 2024	31.12.2023
შემოსავალი	10	2091925	2211640
თვითღირებულება	11	967257	1053870
საერთო მოგება		1124668	1157770
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12	846835	1082895
მოგება/ზარალი		277833	74875
მოგების გადასახადი			
პერიოდის შედეგი		277833	74875

შპს „მოა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31.12 2024	31.12.2023
შემოსავალი	10	2091925	2211640
თვითღირებულება	11	967257	1053870
საერთო მოგება		1124668	1157770
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12	846835	1082895
მოგება/ზარალი		277833	74875
მოგების გადასახადი			
პერიოდის შედეგი		277833	74875

დირექტორი:  ლელა შენგელია
მთავარი ბუღალტერი:  თათა ფილიპიდის



შპს „მოა“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31.12 2024	31.12.2023
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის)	(1446621)	(1496284)
განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)	- 5302	124538
კაპიტალის სხვა ცვლილება (კორექტირება)	3322	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1722474	1446621

შპს „მოა“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31.12 2024	31.12.2023
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის)	(1446621)	(1496284)
განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)	- 5302	124538
კაპიტალის სხვა ცვლილება (კორექტირება)	3322	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1722474	1446621

დირექტორი:   ლუარა შენგელია

მთავარი ბუღალტერი:  თათა ფილიპიდის

შპს „მოა“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ძირითადი საშუალებები

ღირებულება	შენიშვნა	ოფისის აღჭ.	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირით. საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
ბალანსი 31.12.2023	1363212	18180	41030	5638	68440	1496500
შეძენა	-	10188	27619	-	299	
ცვეთა	85218	7471	14178	981	8237	
ბალანსი 31.12.2024	1277994	20897	54471	4567	60502	1418431

2. არამატერიალური აქტივები

ღირებულება	
ბალანსი 31.12.2023	5630
შეძენა	594
ცვეთა	208
ბალანსი 31.12.2024	6016

კომპანია იყენებს საბუღალტრო აღრიცხვისთვის კომპიუტერულ პროგრამა ფინას.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	9280	3143
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	13396	10966
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	22676	14109

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არა სარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას აქვს ანგარიშები, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი დაწესებულებები

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები მიწოდებიდან	269118	231372
მოთხოვნები ბანკებიდან	6656	6382
მოთხოვნები საწ. პერსონალის მიმართ	58886	44885
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	334660	282639

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთები წარმოდგენილია ცხრილში.

5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გასაყიდად განკუთვნილი მარაგები	1896296	2217541
სხვა სასაქონლო მარაგები	18526	-
სულ მიმდინარე მარაგები	1914822	2217541

სხვა სასაქონლო მარაგები შედგება პარკების, შიდა მოხმარების სამეურნეო და საკანცელარიო საქონლის, ასევე მცირე ფასიანი ინვენტარის მარაგებისგან.

6. სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ვალდებულებები რეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	111747	48091
ვალდებულებები არარეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	460544	629082
სულ სავაჭრო ვალდებულებები	572291	677173

სავაჭრო ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენასთან, როგორც რეზიდენტი ასევე არარეზიდენტი მომწოდებლებისგან.

7. მოკლევადიანი სესხები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სესხი საქართველოს ბანკი	-	90299
სესხი პარტნიორისგან	-	214011
სულ მოკლევადიანი სესხები	-	304310

მოკლევადიანი სესხები საბანკო, მიკროსაფინანსო დაწესებულებებისგან და პარტნიორისგან გადაფარულია ნაწილი სრულად, ნაწილი გრძელვადიანი სესხებით.

8. გრძელვადიანი სესხები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
BOG სესხი 7468113	803117	951390
BOG სესხი 8175307	59448	288280
BOG სესხი 8918157	-	354980
BOG სესხი 9128096	76437	-
BOG სესხი 1047404	327743	-
BOG სესხი 11039657	102723	-
სულ გრძელვადიანი სესხები	1369568	1594650

გრძელვადიანი სესხები საბანკო დაწესებულებებისგან აღებულია როგორც ძირითადი საშუალების, ასევე საბრუნავი საშუალებების (საქონლის) შესაძენად.

9. გაუნაწილებელი მოგება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გაუნაწილებელი მოგება (ბალანსი)	1446621	-
პერიოდის მ/ზ კორექტირება	3221	(699)
განაწილება დივიდენდად	(5201)	(123839)
მიმდ.პერიოდის მოგება/ზარალი	277833	74875
სულ გაუნაწილებელი მოგება	1722474	1446621

10. შემოსავალი

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	2088717	2146929
სხვა შემოსავალი	3208	64711
სულ შემოსავალი	20919525	2211640

სულ შემოსავალი

11. თვითღირებულება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
თვითღირებულება	967257	1053870
სულ თვითღირებულება	967257	1053870

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ხელფასი	236563	187042
იჯარა	161727	112974
კომუნალური	19291	12923
ცვთის ხარჯი	116085	86924
სარეკლამო	10080	14105
ტრანსპორტირების და შენახვის	1290	31567
ბანკის	24878	25676
საპროცენტო ხარჯი	220963	289101
სამეურნეო	6445	-
მომსახურების ხარჯი	12306	-
დაზღვევა	4874	-
საპენსიო ხარჯი	4445	-
სხვა ხარჯი	27888	322583
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	846835	1082895

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მოა“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 13 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით 402010319 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ტანსაცმლით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა ტანსაცმლით;

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა ფშაველას გამზ., VII კვ., კორპ. 2, საოფისე ფართი N55;

კომპანიის 100% წილის მესაკუთრე და დამფუძნებელია ლუარა შენგელია პ/ნ 01006011245.

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის გააჩნია 7 ფილიალი.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ და ეყრდნობა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული.

დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები

მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით,

განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია

მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, რეალიზირებული საქონლის ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, პრემიები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. 2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2,9306

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.
- **სასამართლო დავები** - 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

3. პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს.